

რუსთავის ისტორიული მუზეუმი

ანგარიში

2019 წელი

2019 წლის მუზეუმში სამუშაო გეგმის შესაბამისად განხორციელდა შემდეგი სამუშაოები:

## 1. საფონდო განყოფილების მუშაობა

- იანვარში მუზეუმის წესდების შესაბამისად დირექტორის ბრძანებით (ბრძ. №2, 03.01.2019) შეიქმნა საფონდო კომისია რომლის ხელმძღვანელობა დაევალოს ფონდების მთავარი კურატორის ნაირა ყურაშვილს. ჩატარდა კომისიის სამი სხდომა, სადაც კომისიამ განიხილა სამუზეუმო და საფონდო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები (ოქმი N1, 28.2019; აქტი N 1. 13. 05. 2019,; აქტი N 2, 13.12.2019).
- მაისში და დეკემბერში ჩატარდა ძვირფასი ლითონების და ქვების, ნუმიზმატიკური მასალის ინვენტარიზაცია (აქტი N 1.13 2019, აქტი N 2, 13.12.2020).
- მომზადდა 150 ერთეული არტეფაქტის სამეცნიერო პასპორტი, მოხდა მათი გაციფრულება და ელექტრონულ ბაზაში დარეგისტრირება.
- კონსულტაცია გაეწია ახალგაზრდობის პროექტების მართვის განყოფილების ხელმძღვანელს ხატია ბოჭორიშვილს.
- მუზეუმში შემოწირულობის სახით შემოვიდა, აღრიცხვაზე ავიდა და რეგისტრაციაში გატარდა თანამედროვე პერიოდის ამსახველი ფოტო-დოკუმენტური მასალები: საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის დარეჯან კანდელაკის, მეცნიერების და ტექნიკის დარგში საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატის მერაბ მუმლაძის პირადი არქივებიდან შემოსული ფოტო და საარქივო დოკუმენტაცია, კულტურის საქალაქო სახლთან არსებული სცენისმოყვარეთა წრის აფიშები, პროგრამები, ფოტოები (სულ შემოვიდა 32 ერთეული).
- კოლექციის სახით შემოვიდა და აღრიცხვაზე ავიდა მუზეუმის თანამშრომელთა მიერ, გარდაბნის რაიონის სოფ. ლემშვენერასთან მდებარე მშრალი ხევის დაზვერვითი სამუშაოების შედეგად მოპოვებული გვიანბრინჯაოს ხანის მასალა (სულ 205 ექსპონატი).
- მაის-ივნისში მუზეუმში შემოვიდა, აღრიცხვაზე ავიდა მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ბოსტანქალაქისა და გოგებაშვილის ქუჩების მიმდებარე ტერიტორიაზე გადარჩენილი არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად მოპოვებული მასალა, სულ 34 არტეფაქტი. ამათგან: 4 რკინის, 26 ბრინჯაოს, 3 თიხისა და 3 ქვისაა დამზადებული.
- ივნის-ივლისში აღრიცხვაზე ავიყვანე და რეგისტრაციაში გავატარე მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ნაქალაქარზე მშენებელთა ქუჩის N 22

მიმდებარე ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურული სამუშაოების დროს გამოვლენილი ნაქალაქარის უბნის შესწავლის შედეგად გადარჩენილი მოპოვებული არქეოლოგიური მასალა სულ 326 არტეფაქტი.

- ნოემბერ-დეკემბერში აღრიცხვაზე ავიდა და რეგისტრაციაში გატარდა, მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ, რუსთავის ციხე-სიმაგრეზე გეგმაზომიერი არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად მოპოვებული არქეოლოგიური მასალა სულ: 375 ატრეფაქტი.
- ყველა ექსპონატი აღრიცხვაზე აყვანის შემდეგ განთავსდა შესაბამისი განყოფილების ფონდებში.
- მუზეუმის ფონდში შეირჩა ფოტო- მასალა დმანისობისა და დიდგორობის დღესასწაულებზე წარსადგენად. (ძირითადად რუსთავის ციხის ხედები).
- ჩატარდა მუზეუმის ფონდში დაცული სამშენებლო პროექტების სისტემატიზაცია და განლაგება თემატიკის მიხედვით.
- ფონდის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს მუზეუმის გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებებში, მათ შორის ვიქტორინა-კონკურსში „მუზეუმი რუსთავის ისტორიის კვალდაკვალ“ მონაწილე მოსწავლეების ნამუშევრების შეფასებასა და გამარჯვებულის გამოვლენაში.
- ფონდის მუშაკებმა დაასრულეს საწარმოო გაერთიანება „ქიმბოჭკოს“ და საწარმოო გაერთიანება „აზოტის“ მასალების ინვენტარიზაცია და მათი განთავსება ბაინდერებში.

საანგარიშო წელს სულ მუზეუმის ფონდები გამდიდრდა 939 ერთეულით, აქედან უახლოესი პერიდის განყოფილებაში შევიდა 36, ეთნოგრაფიის განყოფილებაში - 2, არქეოლოგიურში - 880 არტეფაქტი.

### არქივი და ბიბლიოთეკა

- ბიბლიოთეკის ფონდი შეივსო და აღრიცხვაზე ავიდა ახლადშემქნილი და მეგობარი მეცნიერებისაგან შემოწირული სამეცნიერო ლიტერატურა (30 ერთეული).
- დამუშავდა 100 ერთეული საარქივო დოკუმენტაცია.
- არქივმა მიიღო და აღრიცხვაზე აიყვანა რუსთავის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ მუზეუმისთვის გადაცემული 1960,1961-1962, 1965მ 1973, 1981-1987 წლების არქეოლოგიური განათხარის ფოტოები.
- მუზეუმის ფეისბუქის გვერდის ადმინისტრატორს მუდმივად მიეწოდებოდა საარქივო მასალები მუზეუმის პოპულარიზაციის უზრუნველსაყოფად.
- დასრულდა ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის კატალოგიზაცია.
- ჩატარდა წიგნადი ფონდის გეგმიური ინვენტარიზაცია.
- მუზეუმის თანამშრომლებსა და დაინტერესებულ პირებს გაეწიათ დახმარება საარქივო მასალებით.

- ბიბლიოთეკა სისტემატიურად ემსახურებოდა მუზეუმის თანამშრომლებისა და ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდით დაინტერესებული პირების.

## 2. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა

საანგარიშო პერიოდში მუზეუმის სამეცნიერო განყოფილება სამეცნიერო - კვლევით სამუშაოები განახორციელა შემდეგი მიმართულებით:

1. 20 თებერვალს მუზეუმის დირექტორი ნაზი პაჭიკაშვილმა ქვემო ქართლის სამეცნიერო პრაქტიკულ კონფერენციაზე წარადგინა მოხსენება „ქალაქ რუსთავის ტურისტული პოტენციალი“.

2. 12-13 მარტს მუზეუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ მოაწყო გასვლითი სამეცნიერო-კვლევითი ექსპედიცია რუსთავის შემოგარენში, დაიზვერა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ძეგლები ლემშენიერსა მიდამოებში.

3. თებერვალში მომზადდა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს კრებულში დასაბეჭდა წარადგინა სტატია „რუსთავის ციხე-სიმაგრეზე 2018 წელს ჩატარებული სამუშაოების ანგარიში“ (იხ. „2018 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების მოკლე ანგარიშები“, თბ. 2019 წ.)

4. მარტ-აპრილში მოამზადა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს გადაეცა საარქივო მასალები რუსთავის ციხე-სიმაგრის რესტავრაცია-რეაბილიტაციის პროექტისათვის.

5. მუზეუმის წარდგენილი მასალების საფუძველზე მომზადდა რუსთავის ციხე-სიმაგრის რეაბილიტაციის პროექტი და 6 აგვისტოს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ გამოცხადდა ტენდერი (NAT 190015644) „ქ. რუსთავის ციხის რესტავრაცია-რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურებაზე“ (ციხის ჩრდილო ბურჯები და ზღუდის მონაკვეთი), გაიმარჯვა ააიპ „ირჟინული აზრმა“ (ხელშეკრულების ღირებულება 24 999.48 ლარი).

6. ნოემბრში “კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს მიერ შესყიდული და სამეცნიერო საბჭოზე დამტკიცებული პროექტის შესაბამისად, ციხის რესტავრაცია-რეაბილიტაციის სამუშაოების შესრულება, ქართუ ფონდის დაფინანსებით (99 800 ლარი) დაიწყო საამშენებლო-სარესტავრაციო კომპანია შპს. ბანამ“. სამუშაოები გაგრძელდება 2020 წლის განმავლობაში.

7. ასევე, 2020 წელს, მუზეუმის მოთხოვნით, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოში დაგეგმილია „რუსთავის ციხე-სიმაგრის აღმოსავლეთ

ზღუდეებისა და აბანოების რესტავრაცია-რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვა“ და სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულება.

8. 2019 წელს რუსთავის ციხე-სიმაგრეზე მიმდინარე სარესტავრაციო-სარეაბილიტაციო სამუშაოებს მეთვალყურეობას უწევს მუზეუმი.

9. ოქტომბერში ნ. პაჭიკაშვილის სტატია „რუსთავის ისტორიული მუზეუმი“ დაიბეჭდა საქართველოს კულტურის სამინისტროს ჟურნალში „კულტურა პლიუსი“.

10. საქართველოს სახელწიფო მუზეუმის პალეობოტანიკის განყოფილებასთან თანამშრომლობით და საქართველოს ღვინის სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით რადიოკარბონული მეთოდით (C -14) დათარიღების მიზნით მუზეუმმა ისრაელში გადააგზავნა მუზეუმში დაცული არქეოლოგიური გათხრების გზით მოპოვებული ყურძნის წიპწები და ღვინის ნალექი სამი ნიმუში, რომლებიც ისრაელის წამყვანი სამეცნიერო ლაბორატორიის მკვლევარის იზაბელა ბარეტოს მიერ დათარიღდა V-V1 და XI-XII საუკუნეებით. აღნიშნული ყურძნის წიპწები ასევე მეტროგრაფიული შესწავლისთვის ნოემბერში გადაიგზავნა საფრანგეთის მონტელიეს უნივერსიტეტში. კვლევებით დადასტურდა რომ მუზეუმში დაცული წიპწები საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებულ წიპწათა შორის ერთ-ერთი ყველაზე ძველი ეგზემპლიარებია.

11. მუზეუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ წლის განმავლობაში არქეოლოგიური კვლევა ძიებითი სამუშაოები ჩაატარა რუსთავის ციხე-ქალაქის სამ უბანზე:

- 22 მაისიდან 12 ივლისამდე გადარჩენითი არქეოლოგიური სამუშაოები აწარმოვა ბოსტანქალაქისა და გოგებაშვილის ქუჩების მიმდებარე ტერიტორიაზე შემთხვევით გამოვლენი IV-VIII სს. სამაროვანზე.
- 4 ივლისიდან 21 ივლისამდე გადარჩენითი არქეოლოგიური სამუშაოები აწარმოვა ნაქალაქარის ტერიტორიაზე, სადაც შეისწავლა ძველი ქალაქის ერთ-ერთი საცხოვრებელი უბანი.
- 15 სექტემბრიდან 1 ნოემბრამდე გეგმაზომიერი გათხრითი სამუშაოები ჩაატარა რუსთავის ციხე-სიმაგრის ტერიტორიაზე.

12. 19 დეკემბერს მუზეუმმა მონაწილეობა მიიღო საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს III არქეოლოგიურ საანგარიშო სესიაში, სადაც რუსთავში ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების თაობაზე ანგარიში წარადგინა მუზეუმის დირექტორმა ნ. პაჭიკაშვილმა.

13. წლის განმავლობაში მუზეუმის თანამშრომლების მიერ მიმდინარეობდა სტატიების მომზადება მუზეუმის სამეცნიერო კრებულის “რუსთავი V” გამოსაცემად.

14. სამეცნიერო განყოფილების თანამშრომელთა მონაწილეობით მომზადდა 150 არტეფაქტის სამეცნიერო პასპორტი, მოხდა მათი გაციფრულება.

### 3. საექსპოზიციო საქმიანობა

I. 2019 წელს მუზეუმი მოემსახურა 6567 ვიზიტორს.

II. საგამოფენო გამოყოფილების მიერ წლის განმავლობაში მომზადდა და მოაწყო 19 დროებითი გამოფენა და 4 ღონისძიება-აქცია:

1. 6 - 10 თებერვალი - ზაქარია გულისაშვილის პერსონალური გამოფენა - გაყიდვა.
2. 8 - 12 მარტი- ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ნამუშევრების საგაზაფხულო გამოფენა.
3. 20-25 მარტი- საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის საქბჭო, რუსთავის ისტორიული მუზეუმი- თანამედროვე სახელმწიფო სიმბოლოები.
4. 4 - 18 აპრილი- რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია, რუსთავის ისტორიული მუზეუმი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი- ფოტოგამოფენა „საგანძური“
5. 18 აპრილი- მოდის სახლი ნატალი. ჩვენება და ხელნაკეთი ნივთების გამოფენა გაყიდვა „ზამზახების სურნელი“
6. 7 -10 მაისი - გამოფენა „ოთხი+“ – გიორგი ჩაჩანიძის სტუდიის მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა.
7. 18 მაისი- აქცია „ღამე მუზეუმში“ ფარგლებში ფოტოგამოფენა “რუსთავის არქეოლოგიური ექსპედიცია-70“
8. 31 მაისი - ახალგაზრდული ფორული 2019
9. 8 -11 ივნისი- სამხატვრი სკოლა „არტ კერა“ გამოფენა „ეს ჩვენ ვართ“
10. 14-16 ივნისი- ალექსანდრე თოდუას სტუდია „სანდროს“ მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა-კონკურსი.
11. 25 -28 ივნისი- ოთარ ლალიაშვილის პერსონალური გამოფენა.
12. 8 ოქტომბერი - ზაქარია გულისაშვილის პერსონალური გამოფენა (მცირე პლასტიკა)
13. 30 ოქტომბერი სამხატვრო „გამაში“ გაერთიანებული მხატვრების ჯგუფური გამოფენა.
14. 1- 6 ნოემბერი - „მარო ტყავაძე“ (გამოფენა და მგონებები).

15. 10 დეკემბერი -გამოფენა „ხელოვნებაში გამოხატული სათქმელი“, მიეძღვნა ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ კამპანიას.
16. 13-15 დეკემბერი - თამარ ფეიქრიშვილი გამოფენა - ინსპირაცია „გავდივართ, „ სული მამშვინველი“
17. 20 - 21 დეკემბერი - წმ. ასურელი მამების ეკლესიასთან არსებული სამხატვრო სკოლის „არტკერის“ მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა, ხელმძღვანელი დარეჯან ნოზაძე.
18. 24 -25 დეკემბერი - საგანმანათლებლო ხელოვნების ცენტრთან არსებული სამხატვრო სკოლის მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა.

### აქცია ღონისძიებები:

#### 18 მაისი - მუზეუმების საერთაშორისო დღისა და აქციის „ღამე მუზეუმში“ კვირეულის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

1. 11. 00 – 1. 00 სთ. - ღია კარის დღე, ვიზიტორების უფასო დაშვება
2. 18 - 10 სთ. - ინტერაქტიული ღონისძიება „მე რუსთაველის პერსონაჟი ვარ“ – ვიზიტორებს საშუალება ჰქონდათ გაეცოცხლებინა „ვეფხისტყაოსნის“ უნგრელი მხატვრის, მიხაი ზიჩის მიერ შესრულებული ილუსტრაცია, სადაც რუსთაველი მეფე თამარს „ვეფხისტყაოსანს“ მიაართმევს. საგანგებოდ მომზადებული რეკვიზიტების მეშვეობით ეს სიუჟეტი გაცოცხლდა ვიზიტორების მონაწილეობით ფოტოკადრებში. ფოტოსესიას კონკურსის სახე ჰქონდა: ფოტოს გადაღების შემდეგ კონკურსში ჩართვის მსურველმა ვიზიტორებმა ატვირთავეს ფოტო სოციალურ ქსელ facebook-ზე ჰეშთეგით #მე რუსთაველის პერსონაჟი ვარ და მონიშნეს რუსთავის ისტორიული მუზეუმი. საუკეთესო ფოტოების სამეული: 3 ავტორი და 3 პერსონაჟთა წყვილს გადაეცა სამახსოვრო საჩუქრები. (ღონისძიება ხორციელდება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრთან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე)
3. 18. 30 სთ. - ფოტოგამოფენა „რუსთავის არქეოლოგიური ექსპედიცია - 70“. მუზეუმის გარე სივრცე.
4. 19 სთ. – „რუსთავის ციხე-ქალაქის არქეოლოგიური შესწავლის სათავეებთან“ - საარქივო მასალებისა და დოკუმენტური ფილმების კოლაჟის ვიდეო ჩვენება. მუზეუმის გარე სივრცე.
3. 19.30 -20 სთ. - კამერული ორკესტრის კონცერტი (მუდმივმოქმედი ექსპოზიციის დარბაზი)
6. 20 -1. 00 სთ -„ცოცხალი მუსიკა + პოეზია“, მუზეუმის გარე სივრცე.
7. 1.00 სთ. - დახურვა (ფრანგებით და ფოიერვერკით)

22 მაისი - 14:00 სთ. ლექცია სემინარი - „მსოფლიოს არაორდინალური მუზეუმები“

25 მაისი - 15. 00 სთ. ლექცია - სემინარი „საქართველოს პირველი რესპუბლიკა“.

- 12 აგვისტო - მუზეუმმა დიდგორობაზე წარადგინა „ქალაქი რუსთავის ისტორიისა და კულტურის ამსახველი სტენდი“ .
- 26 ივლისი - მუზეუმმა დმანისობაზე წარადგინა „ქალაქი რუსთავის ისტორიისა და კულტურის ამსახველი სტენდი“ .
- 15 სექტემბერი თეთრიწყაროში - მუზეუმმა ქვემო ქართლის კულტურული მემკვიდრეობის ფორუმზე წარადგინა ქალაქი რუსთავი (გამოიფინა რუსთავის ისტორიისა და თანამედროვეობის ამსახველი ფოტო. სამუზეუმო ექსპონატები მუზეუმის პუბლიკაციები, გაათამაშა მუზეუმის საგანმანათლებლო პროგრამები: „ისტორიული კალეიდოსკოპი“, „ნორჩი რესტავრატორი“).

#### 4. საგანმანათლებლო განყოფილების საქმიანობა

საანგარიშო წელს საგანმანათლებლო განყოფილებამ დოკ-ის თანამშრომლებთან ერთობლივად მოამზადა რამდენიმე ახალი პროგრამა და განახორციელა შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამები:

1. მომზადდა და 22 თებერვალს ამოქმედდა ახალი საგანმანათლებლო პროგრამა „საქართველოს და შიდა კომფლიქტები 1918-21 წწ. (აფხაზეთი და სამაჩაბლო)“,
2. „მსოფლიოს არაორდინალური მუზეუმები“

ასევე სისტემატიურად ტარდებოდა მუზეუმის მიერ წინა წლებში დანერგილი პროგრამები:

1. სახალისო არქეოლოგია
2. ნორჩი რესტავრატორი
3. ისტორიული კალეიდოსკოპი
4. განძის მაძიებელი
5. საბრძოლო იარაღის ისტორია

მაისში - ქალაქის საჯარო სკოლების IV მოსწავლეთა მონაწილეობით ჩატარდა ტრადიციული ვიქტორინა-კონკურსის „მუზეუმი - რუსთავის ისტორიის კვალდაკვალ“ III ტური. გამარჯვებულ მოსწავლეებს და მათ პედაგოგებს გადაეცათ სიგელები და ფასიანი საჩუქრები.

შენიშვნა: წლის განმავლობაში მიმდინარეობდა ახალი პროგრამების მომზადება.

#### II. სისტემატიურად ეწყობოდა გასვლითი საგანმანათლებლო ტურები:

- 1 საექსკურსიო ტური „რუსთავის ნაქალაქარი და ციხე-სიმაგრე“



2. საექსკურსიო ტური „ძველი თბილისის უბნები“ (სხვადასხვა მარშრუტი)

3. „იუნკრების კვალდაკვალ“ (მოიცავს ტაბახმელა-კოჯორის საბრძოლო ადგილების მონახულებას, პარლამენტის შენობისა და ოკუპაციის მუზეუმის დათვალერებას).

## **5. სამეურნეო საქმიანობა**

1. მერიის სუბსიდიით მუზეუმის საექსკურსიო დარბაზებში დამონტაჟდა გაგრილება-გათბობის სისტემები.

2. სისტემატიურად ეწყობოდა მუზეუმის ფონდასაცავების დასუფთავება-მოწესრიგება, მუზეუმის შიდა და გარე განათებების მოწესრიგება, ეზოს დასუფთავება, კეთილმოწყობა, ყვავილნარის მოვლა.

**6. ფინანსური და სტატისტიკური ანგარიში ერთვის დანართად.**

მუზეუმის დირექტორი

ნაზი პაჭიკაშვილი

2019 წელი

